

შპს „იფელი - 1“

ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	4
2022 წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
5. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები:	8
6. შეფასების საფუძველი:.....	8
7. საიჯარო აქტივები:.....	9
8. შეფასების და წარდგენის ვალუტა:	9
9. საანგარიშგებო პერიოდი:	9
10. ფინანსური ინსტრუმენტები:	9
11. ფინანსური აქტივების გაუფასურება:	9
12. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა:	9
13. ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა:	10
14. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები:	10
15. შეწყვეტილი ოპერაციები:	10
16. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:	10
17. შემოსავლები და ხარჯები:	10
18. გადასახადი:	10
19. კაპიტალი:.....	11
21. დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები:	11
22. მატერიალური მარაგები:.....	11
23. ძირითადი საშუალებები:.....	12
24. კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები:.....	12
25. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	12
შემოსავალი:.....	12
ხარჯების აღიარება და გაყიდული საქონლის თვითღირებულება:.....	13
26. კაპიტალი:.....	14

შპს „იფელი 1“ (საიდენტიფიკაციო N406074938)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები	20	77 722	2 388 364
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	21	7 938	7 938
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	22	373 723	191 605
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	21	359 638	602 087
სხვა მიმდინარე აქტივი	21	120	286

სულ მიმდინარე აქტივები

819 141 3 190 280

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	23	2 927 222	3 014 369
არამატერიალური აქტივები	23	1 241	1 460
გადავადებული საგადასახადო აქტივი		0	0

სულ გრძელვადიანი აქტივები

2 928 463 3 015 829

სულ აქტივები

3 747 604 6 206 109

ვალდებულებები და საკუთარი

კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულება

საეჭრო ვალდებულებები	24	236 877	256 417
საგადასახადო ვალდებულებები	24	79 156	114 046
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	24	31 570	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	24	5 213	40 236
სულ მიმდინარე ვალდებულება		352 816	410 699

გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა ფინანსური ვალდებულებები	24	325 000	283 000
------------------------------	----	---------	---------

სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

325 000 283 000

სულ გრძელვადიანი ვალდებულება

677 816 693 699

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი		1 146 546	1 146 546
გაუნაწილებელი მოგება		1 923 242	4 365 864

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

სხვა რეზერვები

სულ კაპიტალი

3 069 788 5 512 410

სულ ვალდებულებები და

საკუთარი კაპიტალი

3 747 604 6 206 109

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერი.

შპს-ის „იფელი - 1“ (საიდენტიფიკაციო N406074938)

დირექტორი



/თამარ მაჭავარიანი/

მთავარი ბუღალტერი



/დავით ხელაშვილი/

შპს „იფელი - 1“ (საიდენტიფიკაციო N406074938)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	25	10 106 007	8 937 343
შემოსავალი მომსახურებიდან	25	55 845	51 839
სხვა შემოსავალი	25	1 051	9 474
სულ შემოსავალი		10 162 903	8 998 656
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	25	- 6 653 072	- 6 145 544
მიწოდების დანახარჯები		- 533 101	- 502 124
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა			
გასამრჯელო		- 1 113 667	- 1 057 187
ცვეთა და ამორტიზაცია		- 239 866	- 298 584
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო			
ხარჯები		- 397 999	- 338 278
ფინანსური დანახარჯები		- 47 450	- 36 116
მიმდინარე პერიოდის მოგება		1 177 748	620 823
არასაოპერაციო ზარალი		- 6 199	- 7 793
გაუნაწილებელი მოგება		1 171 549	613 030
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		4 365 864	4 516 608
დივიდენდი		- 3 614 171	- 763 774
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1 923 242	4 365 864

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერი.
შპს-ის „იფელი - 1“ (საიდენტიფიკაციო N406074938)

დირექტორი



/თამარ მაჭავარიანი/

მთავარი ბუღალტერი



/დავით ხელაშვილი/

შპს „იფელი - 1“ (საიდენტიფიკაციო N406074938)


2022 წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სხვა რეზერ ვები	სულ
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	1 146 546		3 344 761		4 491 307
მოგება / (ზარალი)			1 171 847		1 171 847
დივიდენდის გამოცხადება			0		0
კაპიტალის სხვა ცვლილებები					
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	1 146 546		4 516 608		5 663 154
მოგება / (ზარალი)			613 030		613 030
დივიდენდის გამოცხადება			763 774		763 774
კაპიტალის სხვა ცვლილებები					
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	1 146 546		4 365 864		5 512 410
მოგება / (ზარალი)			1 171 549		1 171 549
დივიდენდის გამოცხადება			- 3 614 171		- 3 614 171
კაპიტალის სხვა ცვლილებები					
ნაშთი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	1 146 546		1 923 242		3 069 788

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერი.

შპს-ის „იფელი - 1“ (საიდენტიფიკაციო N406074938)

დირექტორი



/თამარ მაჭავარიანი/

მთავარი ბუღალტერი



/დავით ხელაშვილი/

შპს „იფელი - 1“ (საიდენტიფიკაციო N406074938)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022 წელი	2021 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	12 088 920	10 272 221
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები	142 478	202 348
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	12 231 398	10 474 569
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(8 795 019)	(8 028 107)
შრომის ანაზღაურება	(930 874)	(831 904)
გადახდილი გადასახადები	(1 435 034)	(710 364)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(246 762)	(187 853)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	823 709	716 341
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	-
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(210 205)	(145 254)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(210 205)	(145 254)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	267 000	-
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	267 000	-
დივიდენდების გადახდა	(2 918 326)	(616 636)
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	(272 450)	(36 116)
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(2 068)	(899)
სხვა ფინანსური ხარჯები	-	-
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(2 925 844)	(653 651)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(2 312 340)	(82 564)
სავალუტო კურსის ეფექტი	(1 698)	3 223
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	2 388 365	2 467 705
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	77 722	2 388 365

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერი.

შპს-ის „იფელი - 1“ (საიდენტიფიკაციო N406074938)

დირექტორი



/თამარ მაჭავარიანი/

მთავარი ბუღალტერი



/დავით ხელაშვილი/

შპს „იფელი - 1“ (ს.კ. №406074938)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს „იფელი-1“ (ს/ნ 406074938) დაარსდა 2012 წლის 16 აგვისტოს. საზოგადოების მფლობელები ამჟამად არიან:

დავით ვასაძე (პ/ნ 01008041955) - წილის 34%

ნისან იოსებაშვილი (პ/ნ 01008025850) - წილის 33%

რევაზ იოსებაშვილი (პ/ნ 01010006932) - წილის 33%

კომპანიის იურიდიული მისამართი: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კალოუბნის ქ., 34.

2. საქმიანობა და სტრატეგია:

შპს „იფელი-1“ აწარმოებს პურის ცხოვას და სავაჭრო ქსელში მიწოდებას. კომპანია 8 წელი ემსახურება ადგილობრივ ბაზარს. აქ გამომცხვარი პური ერთერთი საუკეთესოა ბაზარზე. ამის საფუძველი კი გამოცდილი და მაღალკვალიფიციური კოლექტივია. კომპანიის პრიორიტეტია პურის ცხოვა, მისი ადგილზე რეალიზაცია და საცალო ქსელში მიწოდება.

კომპანია ასევე ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

3. ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებებით აღჭურვილ პირთა

პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შემუშავდა და დაინერგა შიდა კონტროლის სისტემა, აგრეთვე გარემოებებისათვის შესაბამისი ბუღალტრული პროგრამა. ამასთან, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, არ შეიცავს თაღლითობით გამოწვეულ უზუსტობას. ამრიგად, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

4. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს დებულებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში, ლარში. იგი მოიცავს ანგარიშგებებს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფულადი ნაკადების შესახებ, ასევე წინამდებარე ახსნა-განმარტებას.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციის შესაბამისი კლასიფიკაცია, რაც ფინანსური ანგარიშგების მკითხველებს მიაწვდის, ბიზნესის ხედვის შესაბამისს, ოპერაციების მართვის შესახებ მეტად სასარგებლო ინფორმაციას.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე და გრძელვადიან დაყოფას. იგი მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს იფელი-1 წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი წარმადობის შემცირება ან ლიკვიდაცია. მოთხოვნისთანავე, საწარმო ოპერატიულად ახდენს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გაზრდას.

შპს „იფელი-1“-ს ფინანსური ანგარიშგება გადმოგვცემს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობიდან მიღებული ფინანსური შედეგისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციებს. ყველა ეკონომიკური მოვლენა წარმოდგენილია შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშთა გეგმა.

5. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები:

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშს;
3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს;
4. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

6. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, რის მიხედვითაც, შპს „იფელი-1“-ს მიერ შესყიდული აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათში სამართლიანი ღირებულებით გადახდილ

დღგ-ის გარეშე თანხას. ამავე მეთოდით აღრიცხულია აქტივების გაყიდვის შედეგები.

7. საოჯარო აქტივები:

იჯარით გაცემულია შენობის ფართი (განთავსდება სადისტრიბუციო ქსელის მომსახურე თანამშრომელი) და სადისტრიბუტორო საწარმოებისთვის საჭირო ავტოტრანსპორტი. იჯარის პერიოდში შენობისა და ავტოტრანსპორტის კაპიტალური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რემონტის თანხების გადახდა ევალება მოიჯარეს, ა/მანქანების საბურავებში და აკუმულატორებში გადახდილი თანხის გარდა. შესაბამისად, შპს „იფელი-1“-ს კუთვნილი ავტომანქანების რემონტზე გადახდილი თანხა, თვის ბოლოს, ამოიღება ამ ავტომანქანების მოიჯარეებისგან (მეწარმედ რეგისტრირებული დისტრიბუტორებისგან). ამ მიზნით იწერება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ხოლო თანხა მიეკუთვნება მომსახურებით მიღებულ შემოსავალს. მანქანების იჯარით გადაცემის და ამ მანქანების რემონტის შედეგად, ასევე ფართის იჯარით გაცემიდან მიღებულმა, დღგ-ით დასაბეგრმა შემოსავალმა, 2022 წელს შეადგინა 55 846 ლარი.

8. შეფასების და წარდგენის ვალუტა:

ოპერაციებში შპს „იფელი-1“ ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. შესაბამისად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად გამოიყენება ქართული ლარი.

9. საანგარიშო პერიოდი:

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია:

2022 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინა შესადარისი საანგარიშგებო პერიოდია:

2021 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ფინანსური ინსტრუმენტები:

ბალანსზე აღრიცხული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ფულადი სახსრების, დებიტორული დავალიანების, სხვა აქტივების, კრედიტორული დავალიანების, სხვა ვალდებულებების სახით. მათი თავდაპირველი შეფასება ხდება შემდეგნაირად: რეალურ ღირებულებას ემატება საოპერაციო დანახარჯები. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულებით და მიეკუთვნება მოგებას ან ზარალს.

კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც გაფორმებული კონტრაქტებით ან სხვა პირობებით გათვალისწინებული უფლებები შესრულდება, ხოლო ვალდებულებები დაიფარება.

11. ფინანსური აქტივების გაუფასურება:

ფინანსური აქტივების გადაფასების მიზნით, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოწმდება, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ღირებულების ზრდას ან კლებას, ყურადღება ექცევა კონტრაგენტის მხრიდან ფინანსური პრობლემების არსებობის ან ხელშეკრულების დარღვევის ყოველ ფაქტს.

საანგარიშო პერიოდში, საწარმოში საექვო ვალების რეზერვი არ შექმნილა.

12. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა:

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით.

ასეთ ოპერაციებს საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია.

13. ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა:

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ჩამოიწერება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება (დაიფარება) ან გაუქმდება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგებად.

ასეთ აღიარებულ ფინანსურ ვალდებულებას საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს საქართველოს ბანკიდან აღებული სესხი. 2022 წელს სრულად არ დაფარულა ბანკის სესხი, დასაფარი დარჩა - 325000 ლარი.

14. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები:

აღიარდა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი - პროცენტის სახით, ბანკის სესხზე 2022 წელს გადახდილია - 47 450 ლარი.

15. შეწყვეტილი ოპერაციები:

შეწყვეტილ ოპერაციებს, რომლებიც თავდაპირველად გამიზნული იყო გამოყენებისთვის, მაგრამ შემდგომში გაუქმდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაუქმებლად გამიზნული, საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია.

16. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების (საბუღალტრო და სადისტრიბუციო პროგრამები) აღრიცხვა წარმოებს დარიცხულ ცვეთასთან ერთად. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ, სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების წრფივი მეთოდით შემცირება ნარჩენი ღირებულებით შემდეგნაირად:

შენობა - ნაგებობებზე - 5 %-თ;

სხვა ძირითად საშუალებებზე - 15-20 %-თ.

17. შემოსავლები და ხარჯები:

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, გამოშვებული პროდუქციის მყიდველებზე მიწოდების პერიოდის მიხედვით, სანაცვლოდ ფულადი სახსრების, ან სხვა სახის კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტის მიუხედავად. შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით.

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც იგი წარმოიშვა დანახარჯებიდან და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

18. გადასახადი:

გადასახადების გაანგარიშება, სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში სულ გადახდილია - 1 435 034 ლარი.

19. კაპიტალი:

ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოს კაპიტალის ცვლილებები აღირიცხება პსს ფასს-ის შესაბამისად. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება, სრული შემოსავალი, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები და შეცდომების გასწორების შედეგები. საანგარიშგებო პერიოდში კაპიტალში პარტნიორთა შენატანი არ განხორციელებულა. საანგარიშგებო პერიოდის მოგება - 1 171 549 ლარით, ხოლო წინა საანგარიშგებო პერიოდის მოგების ხარჯზე განაწილებული დივიდენდი - 3 614 171 ლარით განისაზღვრა.

20. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს საღარიბოში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

აქტივები	31.12.2022	31.12.2021
სულ თანხა	77 722	2 388 364

21. დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები:

დებიტორების აღრიცხვა წარმოებს დებიტორი ორგანიზაციების დასახელებების, მათი დავალიანების წარმოშობის პერიოდის მიხედვით.

აქტივები	31.12.2022	31.12.21
სავაჭრო მოთხოვნები	359 638	602 087
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7 938	7 938
სხვა მოთხოვნები	120	286

22. მატერიალური მარაგები:

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შეძენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. მატერიალური მარაგების შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ნაშთმა შეადგინა - 373 808 ლარი.

აქტივები	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქცია	1 389	0
სხვა მარაგები (ნედლეული და მასალები)	372 334	191 605

23. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია ცვეთის გამოკლებით, არამატერიალური აქტივები მოიცავს ბუღალტრულსა და სადისტრიბუციო პროგრამებს.

აქტივები		31.12.2022	31.12.2021
ძირითადი საშუალებები		2 927 222	3 014 369
არამატერიალური აქტივები		1 241	1 460

24. კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები:

კრედიტორულ დავალიანებას წარმოადგენს მიღებული საქონლის და მომსახურების მიხედვით დღგ-ის გარეშე დავალიანების თანხა, დავალიანება თანამშრომელთა და საგადასახადო ორგანოს მიმართ, ვალდებულება, რომლის გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, და რომელიც კლასიფიცირდება გრძელვადიან ვალდებულებად. ასეთ გრძელვადიან ვალდებულებას წარმოადგენს საქართველოს ბანკის მიმართ - 325000 ლარის ოდენობის სესხი.

		31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები		219 173	256 417
საგადასახადო ვალდებულებები		79 155	114 046
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		31 570	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		325 000	283 000
სხვა ვალდებულებები		0	40 236

25. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება:

შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში. მთლიანი პერიოდის განმავლობაში, 2022 წელს, ეკონომიკური შემოსავალი წარმოიქმნა შპს „იფელი-1“-ს ჩვეული საქმიანობის პირობებში, შესაბამისად შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება და ამ ოპერაციის შედეგად საკუთარი კაპიტალის გაზრდა, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

		2022	2021
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან		10 106 007	8 937 343
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		55 845	51 839
სხვა შემოსავალი		1 051	9 474

ხარჯების აღიარება და გაყიდული საქმის თვითღირებულება:

საოპერაციო საქმიანობის პროცესში საწარმო ეწევა სხვადასხვა ხარჯებს. შესაბამისად, არის ისეთი ხარჯებიც, რაც საწარმოს საქმიანობასთან პირდაპირ არ არის კავშირში, მაგრამ ეხება სხვა გადამხდელებს. მაგალითად, ფართის ან სატრანსპორტო საშუალებების იჯარით გაცემა მეწარმე-დისტრიბუტორებზე. ასეთ შემთხვევებში ამ მეწარმე-დისტრიბუტორებს მოეთხოვებათ გაწეული ხარჯის ანაზღაურება და საკომპენსაციო თანხა მიეკუთვნება შემოსავალს.

ხარჯების საიმედოთ განსაზღვრა და აღიარება ხდება აქტივის შემცირების ან ვალდებულების ზრდის შემთხვევებში ეკონომიკური სარგებლის შემცირებისთანავე. აღნიშნული აისახა საქმიანობის შედეგის ანგარიშებაში.

	2022	2021
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6 653 072	6 145 543
დასაქმებულთა ანაზღაურება	1 113 667	1 057 187
ცვეთა და ამორტიზაცია	239 866	298 584
მოხმარებული დენი, გაზი, წყალი	533 101	502 124
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	26 282	17 886
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	37 285	24 314
დამხმარე მასალების ხარჯვა	24 899	30 440
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	11 758	10 716
სარეკლამო მომსახურების	13 600	22 831
სადაზღვევო შენატანები	1 610	14 899
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	149 987	101 052
საპენსიო შენატანი	20 545	20 140
ხარჯი არაეკონომიკურ საქმიანობაზე	890	717
საიჯარო ქირა და საოფისე ინვენტარი	1 716	5 020
რემონტის ხარჯი	7 810	7 579
დასუფთავების ხარჯი	17 827	11 800
კომპიუტერის ხარჯი	11 672	11 441
ქსელური და ანალოგური სისტემების მუშაობაზე გაწეული ხარჯი	0	658
საკონსულტაციო ხარჯი	10 447	14 547
საგადასახადო ხარჯი	26 672	28 397

საღარი აპარატების მომსახურება		2 313	807
ბანკის მომსახურება და კონვერტაცია		1 582	899
ფიტოსანიტარული ხარჯი		3 796	4 936
საკანცელარიო ხარჯი		3 116	4 313
შრომის დაცვის ხარჯები		2 025	1 167
საპროცენტო ხარჯები		47 450	36 116
საკურსო სხვაობა		6 199	7 792
საგადასახადო მიზნებისთვის გამოუქვითავი		19 427	320
სხვა საერთო ხარჯი		2 740	2 899

26. კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი შეადგენს - 3 069 789 ლარს.

შპს „იფელი-1“ დირექტორი:



თამარ მაჭავარიანი

**შპს „იფქლი - 1“
(საიდენტიფიკაციო №406074938)
2022 წლის მმართველობითი ანგარიში**

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

შპს „იფქლი-1“ (ს/ნ 406074938) დაარსდა 2012 წლის 16 აგვისტოს. საზოგადოების მფლობელები ამჟამად არიან:

დავით ვასაძე (3/5 01008041955) - წილის 34%

ნისან იოსებაშვილი (3/5 01008025850) - წილის 33%

რევაზ იოსებაშვილი (3/5 01010006932) - წილის 33%

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კალოუზნის ქ., 34.

2. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

შპს „იფქლი-1“ აწარმოებს პურის ცხობას და სავაჭრო ქსელში მიწოდებას. კომპანია 8 წელი ემსახურება ადგილობრივ ბაზარს. აქ გამომცხვარი პური ერთერთი საუკეთესოა ბაზარზე. ამის საფუძველი კი გამოცდილი და მაღალკვალიფიციური კოლექტივაა. კომპანიის პრიორიტეტია პურის ცხობა, მისი ადგილზე რეალიზაცია და საცალო ქსელში მიწოდება.

3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

შპს „იფქლი-1“ აწარმოებს პურ-პროდუქტებს, კერძოდ:

- მასიური წარმოების თეთრი პური (თეთრი ბატონი, თეთრი ბატონი დაჭრილი, ვარკეთილი);
- ქაჭოს და ჭკავის პური;
- შავი პურის სახეობებს: შავი დაჭრილი

კომპანიის პროდუქცია იყიდება ქ. თბილისში. პურპროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ბაზარზე დიდი კონკურენციაა. შპს „იფქლი 1“, პროდუქციის ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე, დღეისათვის კარგად ართმევს თავს ამ კონკურენციას.

2020-2021 წლებში პურ-პროდუქტების საწარმოო ბაზა ძირითადად აღჭურვილია იმპორტული ტექნოლოგიური მოწყობილობებით. ასევე, მაღალია ძირითადი და დამხმარე მასალების იმპორტის წილი, რაც თავისმხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს პურ-პროდუქტების ბიზნესზე. კერძოდ, შიდა ბაზარზე არასტაბილურია ძირითადი ნედლეულის – ფქვილის ფასი. ვალუტის კურსის ზრდის შედეგად იზრდება მოწყობილობებისა და სათადარიგო ნაწილების ღირებულება, იზრდება ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯები, რაც პირდაპირ აისახება წარმოების დანახარჯებზე. ამასთან, საკვები პროდუქტების შეფუთვის მიმართ რეგულაციების გამკაცრება ზრდის მიწოდების ხარჯებს. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო პურპროდუქტებზე ფასების გაზრდა შეზღუდულია, რაც ზრდის პურის ბიზნესის რისკებსა და სტაბილურობას. ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს გეგმა-ღონისძიებები, კერძოდ:

- თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა და დანერგვა საწარმოში, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის სტაბილურობას, ენერგომატარებლების მოხმარების ეკონომიურობას და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირებას;
- პურპროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა;
- პურპროდუქტების რეალიზაციის არეალის კიდევ უფრო გაფართოება; დასავლეთ საქართველოში და კახეთში დისტრიბუციის ორგანიზაციული სრულყოფა;
- მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და სადისტრიბუციო საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

4. პროდუქციის ხარისხი:

არსებული რეგულაციების პირობებში პურპროდუქტების შეფუთვა ერთერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტები მკაცრ მოთხოვნებს უყენებს პურ-პროდუქტების შეფუთვისა და შესაფუთი მასალების გამოყენებას, რაც ცხადია ზრდის წარმოებისა და მიწოდების დანახარჯებს და შესაბამისად, პირდაპირ მოქმედებს წარმოების რენტაბელობაზე. საანგარიშგებო პერიოდში მზა პროდუქციის 100% იფუთებოდა სპეციალურ ქაღალდის პარკებში და პოლიპროპილენის ფირით. ტარდება ღონისძიებები რათა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში საწარმომ დააკმაყოფილოს პროდუქციის შეფუთვის ევროპული სტანდარტების მოთხოვნები. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კვების პროდუქტების უვნებლობის სხვა მოთხოვნების შესრულებასაც. კერძოდ, სპეციალური სითხით, ყოველდღიურად მუშავდება პურის სადისტრიბუციო ავტომატქანის ძარა და პურის კონტეინერები;

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

პურ-პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შესწავლის მიზნით წარმოებს საწარმოს სპეციალისტების მივლინებები სპეციალიზირებულ საერთაშორისო გამოფენებზე. ასევე ტარდება ღონისძიებები შესაბამისი სამაცივრე მოწყობილობის შესაძენად. კომპანია მუშაობს პურ-პროდუქტების წარმოებაში საფუარის შეზღუდვისა და მის ნაცვლად, ნატურალური ასაფუებელი ნედლეულის გამოყენებაზე. საწარმო დღეისათვის მუშაობს ყველა სახის ძირითადი პურის წარმოებაზე ე.წ. „ტკბილი“ პროცესის გამოყენებით. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ე.წ. „მკავე“ პროცესის დასანერგად. ასეთი ტექნოლოგიის გამოყენებისას ცომის დაყოვნების დრო იზრდება, მაგრამ, პროდუქცია ჯანმრთელობისათვის უფრო სასარგებლოა.

6. ფინანსური აღრიცხვა – ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის სრულყოფა:

საწარმო დიდ ყურადღებას უთმობს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფას. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავებულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, საგადასახადო ვალდებულებებისა და ფინანსური აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათისა და ფინანსური აღრიცხვის მონაცემების ურთიერთშესაბამისობის სისტემური კონტროლი, რომელიც დაინერგება 2020 წლიდან. სისტემატიურად წარმოებს კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერიის“ განახლება.

7. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

საწარმოს აქვს მჭიდრო კომერციული და ტექნიკური კავშირები თურქეთის რესპუბლიკის კომპანიებთან. საწარმო აფართოებს კომერციულ ურთიერთობებს იტალიის, პოლანდიის, გერმანიის და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კომპანიებთან;

8. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

საწარმო ახორციელებს გარემოს დაცვით ღონისძიებებს. ამასთან, საწარმო სრულად აკმაყოფილებს გარემოს დაცვის სტანდარტებს. კერძოდ:

- პურის საცხობ ღუმელებში შეიცვალა გაზის სანთურები („ფარსონები“), რის შედეგადაც სტანდარტის ნორმის ფარგლებში შემცირდა გამონახოლქვში ნახშირჟანგის (CO) კონცენტრაცია;

- წარმოების პროცესში სპირტული ღუდის შედეგად გამოიყოფა მავნე აირები, რომელთა ოდენობა სტანდარტით გათვალისწინებული ნორმის ქვემოთ მიღწეული იქნა შესაბამისი გამწოვი სისტემების მოწყობით;

- წარმოების პროცესში ჰაერში ფქვილის გაფრქვევის შედეგად დამტვერიანების ნორმამდე შემცირების მიზნით, წარმოების პროცესში ფქვილის მიწოდება ხდება სპეციალური ფქვილის გადამტანი მილის (შნეკის) საშუალებით, რაც გამორიცხავს ჰაერის დამტვერიანებას დასაშვები ნორმის ზემოთ.

საწარმო ახორციელებს უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის ღონისძიებებს, კერძოდ:

- მომზადდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- გატარდა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები;


- საფრთხის შემცველ აპარატურასა და მოწყობილობებზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის ბაზაზე, ჩატარდა სპეციალური მონიტორინგი, განისაზღვრა და გადამზადდა პასუხისმგებელი პირები და მიეცათ შესაბამისი სერტიფიკატი.

- საფრთხის შემცველი აპარატურისა და მოწყობილობების სრულყოფილ და ტექნიკურად გამართულ მუშაობაზე გაიცა სათანადო დასკვნები.

9. სოციალური პროექტები:

საწარმო მონაწილეობს სოციალური პროექტების განხორციელებაში, კერძოდ, ბუნების დაცვისა და ეკოლოგიურ პროექტებში (პროგრამებში). მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო მონაწილეობს დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში, რაც, ხელს უწყობს მუშაკებს, მონაწილეობა მიიღონ დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად, საფირმო მაღაზიაში გახსნილია სპეციალური კუთხე, სადაც დაბალ ფასში იყიდება სავაჭრო ქსელიდან დაბრუნებული კვებისათვის ვარგისი პურ-პროდუქტები.

შპს „იფელი-1“ დირექტორი:



თამარ მაჭავარიანი